მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10

2011 წლის 29 აპრილი

ქ. მარტვილი

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, პირობებით აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის უფლებით ქონების გაცემის შესახებ გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ღ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 21 ივლისის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 02.08.2011წ.

1. დამტკიცდეს:

ა) აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ფორმა, დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი 3 ფურცელზე);

ბ) პირობებით აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ფორმა, დანართი №2-ის შესაბამისად (დანართი 4 ფურცელზე);

გ) სარგებლობის უფლებით (იჯარა, უზუფრუქტი, აღნაგობა და სხვა) ქონების გაცემის შესახებ გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ფორმა, დანართი №3-ის შესაბამისად (დანართი 3 ფურცელზე);

დ) საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმა, დანართი №4-ის შესაბამისად (დანართი 1 ფურცელზე).

2. დადგენილება ძალაშია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ ბორის მიქავა

/საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე/

შეტანილი ცვლილებები:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 21 ივლისის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 02.08.2011წ.

დანართი №1

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სააუქციონო მუდმივმოქმედი კომისია

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი

ოქმი

№ _____

ქ. მარტვილი

_____

(რიცხვი, თვე, წელი)

1. წინამდებარე ოქმი გაიცა

_____

_____

_____

(აუქციონში გამარჯვებული (ტექსტში შემდგომში – მყიდველი) ფიზიკური პირის სახელი, გვარი/იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი, გვარი, მისამართი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემები).

მასზე, რომ „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად,

_____

_____

_____

_____

_____

(ქონების დასახელება, საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, უძრავი ქონების ფართობი, ქონების სხვა აღწერილობა)

მდებარე _____

(ქონების მისამართი)

ქონების საწყისი ფასი _____ (_____)

(ციფრებით) (სიტყვიერად)

შემდგომი პრივატიზების მიზნით მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის მიერ 201—წლის _____ (თარიღი) მოწყობილ აუქციონზე მის მიერ შემოთავაზებული ფასის:

_____ _____

(ციფრებით) (სიტყვიერად)

საფუძველზე, ის გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში – მყიდველი) და მას „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრებაში გადაეცა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

_____

_____

_____

(ქონების დასახელება, მონაცემები საჯარო რეესტრიდან, მათ შორის, ინფორმაცია უძრავი ქონების დატვირთვის ან/და ვალდებულებების თაობაზე, საკადასტრო /საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, უძრავი ქონების ფართობი. ქონების სხვა აღწერილობა) - – ——————————— შემდგომში ქონება.

2. მყიდველი ვალდებულია:

აუქციონზე შეძენილი ქონების ფასი გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შემდეგ საბანკო ანგარიშზე

№ .....

.....

.....

3. მყიდველს გადახდილი ბე ეთვლება ანგარიშსწორებისას.

4. მარტვილის მუნიციპალიტეტის ქონების ნასყიდობის საბოლოო ფასის გადახდა შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მისი დადასტურების მომენტიდან.

5. მარტვილის მუნიციპალიტეტის ქონების ნასყიდობის საბოლოო ფასის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 30 დღის ვადაში გამყიდველი გასცემს საკუთრების დამადასტურებელ მოწმობას.

6. თუ მყიდველი დადგენილ ვადაში სრულად არ გადაიხდის ნასყიდობის საბოლოო ფასს, აუქციონის მედეგები უქმდება, მყიდველს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე და არ უბრუნდება შეტანილი ბე ან წარმოდგენილი საბანკო გარანტია.

7. ქონების პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადის თანხის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ.

8. წინამდებარე ოქმთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ოქმი შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი რჩება გამყიდველს, ხოლო ორი გადაეცემა მყიდველს.

10. მყიდველი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ოქმის შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ოქმს.

11. ოქმს, რომელიც გამყიდველთან რჩება, თან ერთვის:

ა) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი იურიდიული პირია, – მყიდველის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, წესდება და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი მოქმედებს წარმომადგენლის მეშვეობით, წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული ქონების განკარგვის აუქციონის
ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო
კომისიის თავმჯდომარე/_____/ / _____/
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

აუქციონში გამარჯვებული პირი,
მყიდველი
_____ _____
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

გამყიდველი
_____ _____
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

_____ ბეჭდის ადგილი

დანართი №2

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სააუქციონო მუდმივმოქმედი კომისია

პირობებით აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი

ოქმი

№_____

ქ.მარტვილი ----------

(რიცხვი, თვე, წელი)

1. წინამდებარე ოქმი გაიცა

.....

.....

.....

(აუქციონში გამარჯვებული (მყიდველი) ფიზიკური პირის სახელი. გვარი/იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი, გვარი, მისამართი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემები)

მასზე, რომ „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად,

.....

.....

.....

.....

.....

(ქონების დასახელება, საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, უძრავი ქონების ფართობი, ქონების სხვა აღწერილობა)

მდებარე _____

(ქონების მისამართი)

ქონების საწყისი ფასი _____ (_____) ლარი.

(ციფრებით) (სიტყვიერად)

შემდგომი პრივატიზების მიზნით მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის მიერ 201– წლის_____ (თარიღი) მოწყობილ აუქციონზე მის მიერ შემოთავაზებული ფასის:

_____ _____

(ციფრებით) (სიტყვიერად)

საფუძველზე, ის გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში – მყიდველი) და მას „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით საკუთრებაში გადაეცა მარტვილის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული

.....

.....

.....

(ქონების დასახელება მონაცემები საჯარო რეესტრიდან. მათ ინფორმაცია უმრავი ქონების დატვირთვის ან/და ვალდებულებების თაობაზე საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, უძრავი ქონების ფართობი, ქონების სხვა აღწერილობა)

_____ შემდგომში ქონება

2. მყიდველი ვალდებულია:

აუქციონზე შეძენილი ქონების ფასი გადაიხადოს აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში .....

შემდეგ საბანკო ანგარიშზე № . .....

.....

.....

3. მყიდველს გადახდილი ბე ეთვლება ანგარიშსწორებისას.

4. მყიდველი ვალდებულია დაიცვას დათქმულ ვადაში და ჯეროვნად შეასრულოს შემდეგი პირობები:

ა) …….

ბ) …….

გ) …….

დ) ……

ე) და ა.შ.

5. სხვა პირობები და ვალდებულებები:

ა) მყიდველი ვალდებულია შეძენილი მარტვილის მუნიციპალიტეტის ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ოქმით ნაკისრი ვალდებულებები (აუქციონის პირობები), მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მათ შესრულებაზე გამყიდველის მოთხოვნისთანავე ან/და 6 თვეში ერთხელ წარუდგინოს ინფორმაცია გამყიდველს;

ბ) მყიდველს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე, არა აქვს უფლება გაცემული ქონება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე;

გ) გამყიდველის მიერ მყიდველზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მყიდველის მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ოქმით. ქონების გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს გამყიდველს;

დ) ოქმით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან;

ე) ოქმით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება ოქმით სააუქციონო პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ:

ე.ა) თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში. გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ე.ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ე.გ) მყიდველის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმის პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველ დარღვევაზე ქონების ღირებულების 0,05%-ის

ვ) ოქმით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება აუქციონის შედეგების ოქმის გაუქმების საფუძვლად;

ზ) შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლება და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გამყიდველის მიერ მყიდველს გადაეცემა შეძენილი ქონების საბოლოო/სრული ნასყიდობის ღირებულების დაფარვის შემდეგ. ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით;.

თ) თუ მყიდველი დადგენილ ვადაში სრულად არ გადაიხდის ქონების საფასურს, აუქციონის შედეგები უქმდება. მყიდველს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე და არ უბრუნდება შეტანილი ბე ან წარმოდგენილი საბანკო გარანტია;

ი) ქონების პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადის თანხის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ.

კ) წინამდებარე ოქმთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ლ) ოქმი შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი რჩება გამყიდველს, ხოლო ორი გადაეცემა მყიდველს.

მ) მყიდველი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ოქმის შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ოქმს.

ნ) ოქმს, რომელიც გამყიდველთან რჩება, თან ერთვის:

ნ. ა) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

ნ.ბ) იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი იურიდიული პირია, მყიდველის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, წესდება და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება;

ნ.გ) იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი მოქმედებს წარმომადგენლის მეშვეობით, წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო

კომისიის თავმჯდომარე /_____/ /_____/
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

აუქციონში გამარჯვებული პირი,
მყიდველი

_____ _____
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

გამყიდველი

_____ _____
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა

_____ ბეჭდის ადგილი

დანართი №3

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 21 ივლისის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 02.08.2011წ.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია

სარგებლობის უფლებით (იჯარა, აღნაგობა, უზუფრუქტი და სხვა) ქონების გაცემის შესახებ

გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი

ოქმი №

ქ. მარტვილი ----------

(რიცხვი. თვე, წელი)

1. წინამდებარე ოქმი გაიცა

.....

.....

(აუქციონში გამარჯვებული) ფიზიკური პირის სახელი და გვარი. იურიდიული პირის სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმა, სახელწოდება, წარმომადგენლის სახელი და გვარი. უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. მისამართი, მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის მონაცემები)

მასზე, რომ „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების:

.....

.....

(ქონების დასახელება და მისამართი. მონაცემები საჯარო ან მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან)

ქონების საწყისი ფასი . . . . . _____

(ციფრებით) (სიტყვიერად)

შემდგომში სარგებლობაში განკარგვის მიზნით, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების საუქციონო მუდმივმოქმედი კომისიის მიერ 201- წლის „.....“ ..... „.....“ საათზე მოწყობილ აუქციონზე მის მიერ შემოთავაზებული ფასის:

.....

(ციფრებით) (სიტყვიერად)

საფუძველზე ის გამოვლინდა გამარჯვებულად და მას „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ოქმით ნაკისრი ვალდებულებებით შესრულების პირობით, სარგებლობაში ———— წლის ვადით გადაეცა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში რიცხული ქონება.

.....

.....

(ქონების დასახელება, მისამართი, მონაცემები საჯარო რეესტრის ან/და სამეწარმეო ამონაწერიდან, მ.შ ინფორმაცია უძრავი ქონების დატვირთვის თაობაზე).

2. მოსარგებლე ვალდებულია:

ა) დაიცვას, დათქმულ ვადაში და ჯეროვნად შეასრულოს შემდეგი პირობები:

ა.ა) .....

ა.ბ) .....

ა.გ) .....

ა.დ) .....

ა.ე) .....

ა.ვ) და ა.შ

ბ) მოსარგებლეს გადახდილი ბე ეთვლება პირველი წლის საიჯარო ქირის ანგარიშში.

მესაკუთრის მიერ მოსარგებლესთან სარგებლობის უფლების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ოქმის მოქმედების პერიოდში მოსარგებლეს შეუძლია ქონება გადასცეს სხვა მესაკუთრეს, მხოლოდ ქონების მესაკუთრის თანხმობით იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ოქმით.

3. ოქმით ნაკისრი ვალდებულება შესრულებულად ითვლება ქონების მესაკუთრის მიერ დადასტურების მომენტიდან.

4. ოქმით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსარგებლე იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება პირობების დარღვევის გამოსწორების ვადა და /ან პირგასამტეხელოს ოდენობა.

5. ოქმით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხელოს გადაუხდელობა მოსარგებლის მიერ განიხილება სარგებლობის უფლების (ოქმის) გაუქმების საფუძვლად.

6. ოქმიდან წარმოშობილი სადავო საკითხები განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. მოსარგებლე ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ოქმის შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ოქმს.

8. ოქმი შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად: ერთი რჩება ქონების მესაკუთრეს, ხოლო ორი გადაეცემა მოსარგებლეს.

9. ოქმს, რომელიც გამყიდველთან რჩება, თან ერთვის:

ა) ამონაწერი საჯარო ან /და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირია, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, წესდება და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მოქმედებს წარმომადგენლის მეშვეობით, წარმომადგენლის უფლებამისილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

აუქციონში გამარჯვებული პირი . . . . . .

ხელმოწერა სახელი, გვარი

აუქციონატორი . . . .

ხელმოწერა სახელი, გვარი

სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე: . . . . . .

ხელმოწერა სახელი, გვარი

სააუქციონო კომისიის მდივანი . . . .

ხელმოწერა სახელი, გვარი

ბეჭდის ადგილი . . . . . .

დანართი №4

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მარტვილის მუნიციპალიტეტი

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა

№ _____

(ფორმა)

ეძლევა _____

(მესაკუთრე და მისი მისამართი)

_____მასზე,

რომ მას გადაეცა საკუთრებაში _____

(ქონების დასახელება და მისამართი)

_____

(პირობა)

მიწის ფართობი _____ _____

(კვ.მ) (მიწათსარგებლობის ფორმა)

საფუძველი: _____

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის

თარიღი და ნომერი _____

მოწმობა შედგენილია 3 ეგზემპლარად, ორი ეგზემპლარი გადაეცემა მესაკუთრეს,

_____,

(მესაკუთრის სახელი, გვარი / დასახელება)

ხოლო ერთი ეგზემპლარი ინახება მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურში. მოწმობა ძალაშია ოქმთან ერთად, რომელიც მოწმობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

გაცემულია 201- წლის „_____“_____

საკრებულოს თავმჯდომარე _____

(ხელმოწერა)